# "ინაგურაციის მეორე ნაწილი შესაძლოა წინანდალში გაიმართოს"



**ინაუგურაციის საორგანიზაციო კომისია სამუშაო შეხვედრებს განაგრძობს.**

ცნობილია, რომ ოფიციალური ღონისძიება 16 დეკემბერს თელავში, ერეკლე მეფის სასახლეში გაიმართება, ოფიციალური ცერემონიის სხვადასხვა ღონისძიების ადგილებად კი თბილისის და წინანდლის მამულიც განიხილება. ამის შესახებ ჟურნალისტებთან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, კახა კახიშვილმაც ისაუბრა.

> *„არჩეული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საპრეზიდენტო ფიცს თელავში დადებს, ინაუგურაციის მეორე ნაწილი კი, შესაძლოა, წინანდალში გაიმართოს“, – განაცხადა ინაუგურაციის საორგანიზაციო კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ინაუგურაციის მოსამზადებელი ჯგუფის ხელმძღვანელმა კახა კახიშვილმა.*

მისი განცხადებით, ინაუგურაციის ცერემონიალის მონახაზი უკვე არსებობს, თუმცა ზუსტდება რამდენი სტუმარი მოიყრის თავს ღონისძიებაზე. ეს ინფორმაცია ორშაბათს გახდება ცნობილი და ისიც დაზუსტდება, თუ რა დაუჯდება ბიუჯეტს პრეზიდენტის ინაუგურაცია.

> *„ეს იქნება ლამაზი, მაგრამ არა პომპეზური სანახაობა“, – თქვა კახა კახიშვილმა.*

პროტოკოლით გათვალისწინებული სტუმრების ვინაობა სავარაუდოდ ორშაბათს გახდება ცნობილი. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციას მისი წინამორბედიც დაესწრება.